ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ზ-19/01173179 62-17

"02." 02. 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ფარნავაზის გამზირის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.10.06.003.005) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3444390 04.08.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი საბურთალო, ფარნავაზის გამზირის მიმდებარედ მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ნაწილობრივ შეცვლილია გათბობა-კონდიცირების დანადგარების ადგილმდებარეობა. +4,200 და +26,600 ნიშნულზე ფასადებზე დამატებით მოწყობილია რიგელები რის გამოც შემცირებულია ვიტრაჟების სიმაღლე. ზ-ზ ღერძის გარეთ 1-1 ღერძთან სართულებზე შეცვლილია კედლის ფორმა. ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ადგილმდებარეობა. ასევე ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების ადგილმდებარეობა. ნაწილობრივ შეცვლილია აივნების გაბარიტი. გაზრდილია აივნის მოაჯირების სიმაღლე.

„ფასადი ზ-ა": +0,00 ნიშნულზე ზ-ზ ღერძისკენ შეცვლილია კარის სიგანე და ნახატი. ა-ა ღერძთან +7,500 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენა.

„ფასადი 1-5": +0,00 ნიშნულზე 5-5 ღერძთან შეცვლილია კარის ნახატი. ამავე ღერძთან სართულებზე შეცვლილია კედლის ფორმა.

„ფასადი ა-ზ": -1,710 ნიშნულზე ე-ვ მონაკვეთში პარკინგში ჩასასვლელთან გაუქმებულია კედელი და გადახურვის ფილა. გ-ე მონაკვეთში 5-5 ღერძთან დამატებით მოწყობილია დაბალი კედელი.

„გეგმა -2.90 ნიშნულზე": ნაწილობრივ შემცირებულია მონოლითური კედლების სისქე. დ-დ ღერძზე 5-4 მონაკვეთში შეცვლილია კარის ღიობის გაბარიტი. 3-5 მონაკვეთში ვ-ვ ღერძთან შეცვლილია პანდუსის ფორმა.

„გეგმა +0,00 ნიშნულზე": შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. გ-დ მონაკვეთში შეცვლილია ლიფტის შახტის მოწყობა. 5-5 ღერძის გარეთ გაზრდილია პანდუსის სიგანე და დამატებით მოწყობილია ლითონის ნაშვერები.

„გეგმა +26,60 ნიშნულზე": შეცვლილია ლიფტის სამანქანოს და კიბის უჯრედის გაბარიტი და დამატებით მოწყობილია ლითონის ცხაურები. შეცვლილია სახურავზე გასასვლელი კარის ადგილმდებარეობა. ლიფტის სამანქანოში შეცვლილია იატაკის ფილის ნიშნული. შემცირებულია პარაპეტის სიმაღლე. შეცვლილია სავენტილაციო შახტების გაბარიტი.

„გეგმა +28,60 ნიშნულზე": 2-3 მონაკვეთში შეცვლილია წყალშემკრები მილების მოწყობა.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის

დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ'' ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს."მექან"-ს, ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ფარნავაზის გამზირის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.10.06.003.005) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/0117317962-17 13.11.2017წ. განცხადება.
№წ-19/0117317962-17 14.11.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე